ააიპ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შოთა ბუაჩიძის

სახელობის სამუსიკო სკოლის 2024-2025 სასწავლო
წელს გაწეული მუშაობის ა ნ გ ა რ ი შ ი

ხარაგაულის სამუსიკო სკოლა უკვე 68 წელია ემსახურება მომავალი თაობის სახელოვნებო განათლების საპატიო საქმეს. მისი მიზანია ახალგაზრდები აზიაროს კლასიკური მუსიკის უმდიდრეს შემოქმედებას, შეასწავლოს ფორტეპიანოზე დაკვრის ხელოვნება და რაც მთავარია აღზარდოს კარგი მსმენელი. ასევე საჭიროა შემოქმედებითი მიდრეკილებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენა, , კულტურული ღონისძიებების ჩატარება, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ.

სამუსიკო სკოლის პერსონალი, სადაც დასაქმებულია 18 თანამშრომელი, ღირსეულად ართმევს თავს ამ მიზნებს.

სკოლაში ფუნქციონირებს ფორტეპიანოს, ვიოლინოს, საესტრადო ვოკალის განყოფილებები, სადაც ირიცხება 93 მოსწავლე. აქედან 66 ფორტეპიანოს კლასში, 5 ვიოლინოს კლასში, ხოლო 22 მოსწავლე საგუნდო და სოლო განყოფილებებზე.

სწავლების პირველი საფეხური (საბაზო) – 7 წელია, მეორე საფეხური-9 წელი. ფორტეპიანოსა და ვიოლინოს განყიფილებებზე სწავლება ფასიანია (90 ლარი წელიწადში), აქედან 16 მოსწავლე განთავისუფლებულია, როგორც სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი. სხვა განყოფილებებზე სწავლება უფასოა.

სწავლება მიმდინარეობს სასწავლო წლის დასაწყისში შედგენილი გეგმის მიხედვით, რომელსაც განიხილავს და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. თითოეულ მოსწავლისათვის დგება პროგრამა, რომელსაც შეისწავლის წლის მანძილზე.

სკოლაში მოღვაწეობს 8 პედაგოგი, აქედან ერთი კონსულტანტი, რომელიც მეთოდურ დახმარებას უწევს პედაგოგებს, მუშაობს ინდივიდიალურ მოსწავლეებთან, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონკურსებში, ატარებს

მასტერ-კლასებს და თემატურ ლექციებს. წლის განმავლობაში ტარდება ღია და დახურული კონცერტები, სასკოლო კონკურსები, მოსმენები, ჩათვლები და გამოცდები.

2025 წელს სამუსიკო სკოლის 9 კლასი დაამთავრა 5 მოსწავლემ, ხოლო 7 კლასი 3 მოსწავლემ.

წარმატებული და საკმაოდ დატვირთული იყო 2024-2025 სასწავლო წელი, მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონცერტებსა და კონკურსებში:

1. 2024 წლის 19 ოქტომბერს ქ,ზესტაფონში, რევაზ ლაღიძის სამუსიკო სკოლაში, კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით კონსერვატორიის ახალი პროექტის ფარგლებში ჩატარდა ხარაგაულის და ზესტაფონის სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო და ვოკალის მიმართულებით მოსწავლეთა მოსმენა. ჟიურში გახლდათ კიომი სიკგიმერა-ვაჩნაძე, ნათია ქავთარაძე და თეიმურაზ გუგუშვილი, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს მოსწავლეთა მონაწილეობას.
2. 2024 წლის 30 ოქტომბერს სტუმრად გვეწვია საერთაშორისო კონკურსების ლაურიატი, პიანისტი ვახტანგ ჟორდანია, რომელმაც დაუვიწყარი კონცერტი გვაჩუქა.
3. 2024 წლის 25 დეკემბერს ჩატარდა საშობაო კონცერტი, მონაწილე მოსწავლეებს და სკოლის პერსონალს გადაეცათ საახალწლო საჩუქრები.
4. 2025 წლის 15 მარტს სკოლამ მონაწილეობა მიიღო ქ. წყალტუბოში გამართულ ი. ს. ბახის მე-8 ეროვნულ კონკურსზე, წარდგენილი იყო 4 მოსწავლე, მართა ჭყოიძემ პირველი ადგილი დაიმსახურა და დაუკრა გალა კონცერტზე,
5. 2025 წლის 27 მარტს ჩატარდა კონკურსი „ მომავლის ვარსკვლავები“ სადაც მონაწილეობა მიიღო 3 მოსწავლემ, დაჯილდოვდნენ დიპლომებით, ხოლო ნიცა ზუმბაძე წარდგა გალა კონცერტზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში.
6. 2025 წლის 6 აპრილს ქართული მუსიკის მე-9 ეროვნულ კონკურსზე 2 მოსწავლემ საპატიო დიპლომები დაიმსახურეს.
7. 2025 წლის 29 აპრილს ქ. ქუთაისში კომპოზიტორ ნანა იამანიძის თაოსნობით გაიმართა ქართული სიმღერის კონკურსი „ იმერეთის ხმა “ სადაც მონაწილეობდა 4 მოსწავლე, გადაეცათ საპატიო დიპლომები და სხვადასხვა ნომინაციები, ხოლო ლალი ხომასურიძემ მე-2 საპრიზო ადგილი დაიმსახურა
8. 2025 წლის 25 მაისს ქ. სენაკში ჩატარდა ხელოვნების აკადემიის მე-12 არტ ფესტივალი, სადაც მონაწილეობდა 3 მოსწავლე, ცნობილმა პიანისტმა

ვალერიან შიუკაშვილმა ფესტივალის დახურვაზე გამარჯვებული მოსწავლეების დიპლომები გადასცა სკოლის დირექტორს.

9. 2025 წლის 8 ივლისს ქ. ბორჯომში გამართულ მუსიკალურ ფესტივალზე „ ბორჯომი - 2025“ წარმატებით წარსდგნენ გიორგი ვეფხვაძე და ნიცა ზუმბაძე. კომპეტენტურმა ჟიურიმ ნიჭიერთა ათწლედში სწავლის გაგრძელება შესთავაზა გიორგი ვეფხვაძეს.

პარალელურად საზეიმო ღონისძიებები ჩატარდა სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში.

კონკურს-ფესტივალებში გამარჯვებული და წარმატებული მოსწავლეები სკოლამ დააჯილდოვა ექსკურსიით ქ. ბათუმში 30 სექტემბერს.

2025 წელს სკოლის დაფინანსება ბიუჯეტიდან შეადგენს 281300 ლარს. ხოლო საკუთარი შემოსავალი 4500 ლარს.

ხელფასი შეადგენს - 264020 ლარს,

საქონელი და მომსახურება - 780 ლარს.

გახარჯულია ხელფასები - 196780 ლარი

კომუნალური - 1259 ლარი

კავშირგაბმულობა - 494 ლარი

ოფისის ხარჯები - 990 ლარი

კულტურული ღონისძიებები - 620 ლარი

ტრანსპორტი - 1630 ლარი

აგვისტოს თვეში შევიძინეთ საოფისე სკამები

პიუპიტრები - 300 ლარი

ბენდისათვის შევიძინეთ ახალი ინსტრუმენტები და აპარატურა - 6541 -ლარი, დიდი მადლობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიას თანადგომისათვის.

2025 წლის 1 სექტემბრიდან შევუდექით ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. ხოლო სწავლა დაიწყო 15 სექტემბერს.

პირველ კლასში მივიღეთ 12 მოსწავლე, იმედი მაქვს 2025 – 2026 სასწავლო წელი წარმატებული იქნება

სამუსიკო სკოლის დირექტორი ლალი ალექსიძე